ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2022 წლის 24 მაისის სხდომის

ოქმი # 5

სხდომა ჩატარდა „ზუმ“ პლატფორმის მეშვეობით.

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან - 21.

დღის წესრიგი:

1. „მედიის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ

   მომხს: რ. ჯორბენაძე
2. სამაგისტრო პროგრამის - „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ რეაკრედიტაციის შესახებ

   მომხს: რ. ჯორბენაძე
3. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის განსაზღვრის შესახებ

   მომხს: რ. ჯორბენაძე
4. „ურბანისტიკის“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ლევან ალფაიძის დაცვის თარიღის დამტკიცება

   მომხს: თ. მატარაძე
5. დოქტორანტთა სადოქტორო დისერტაციების სათაურებისა და ხელმძღვანელთა დამტკიცება

   მომხს: თ. მატარაძე
6. დოქტორანტთა სადოქტორო დისერტაციების სათაურების დაზუსტება

   მომხს: თ. მატარაძე
7. თსუ-ის აკადემიური საბჭოს #112/2013 და #122/2014 დადგენილებებით განსაზღვრული სამეცნიერო - კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის დაზუსტება აკადემიური პერსონალის სახელფასო - სამეცნიერო კომპონენტისთვის

   მომხს: თ. დოლბაია

მოისმინეს: 1. სამაგისტრო პროგრამაში - „მედიის კვლევები“, განსახორციელებელი ცვლილებები დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა რევაზ ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, გ. გოგსაძემ, მ. შამილიშვილმა, მ.წერეთელმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს „მედიის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამაში, სააკრედიტაციო საბჭოს რეკომენდაციებზე დაყრდნობით შეტანილი ცვლილებები. კერძოდ:

- სასწავლო კურსების სილაბუსებში დასწრების ქულები გადატანილია აქტივობის კომპონენტში;
- „სამაუწყებლო პროდიუსირების“ სილაბუსში, კურსის მიზნებისა და შედეგების შესაბამისად, განახლდა და გადამუშავდა სალექციო თემატიკა; სილაბუსს დაემატა რადიომედიის ნაწილი და სალექციო თემატიკა განაწილდა თანაბრად, როგორც აუდიომედიის, ისე ტელემაუწყებლობის სპეციფიკის შესაბამისად; შეივსო ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის სია;
- შემუშავდა პრაქტიკის არჩევითი სასწავლო კურსი;

ასევე, რეკომენდაციის შესაბამისად, გადაწყდა პროგრამაში აკადემიური პერსონალის დამატების საკითხი.

მოისმინეს: 2. სამაგისტრო პროგრამის - „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ რეაკრედიტაციის შესახებ, ისაუბრა რ. ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: ნ. ბელქანიამ, თ. დოლბაიამ, ა. ბერძენიშვილმა, ი. კაჭკაჭიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: სამაგისტრო პროგრამის, „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“, რეაკრედიტაციისთვის მომზადებული პაკეტი, განსახილველად გადაეცეს თსუ - ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

მოისმინეს: 3.დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის განსაზღვრის შესახებ ისაუბრა რ. ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, თ. მატარაძემ, ს. დუნდუამ, გ.გოგსაძემ, ნ. ბელქანიამ და სხვ.

დაადგინეს:

1). დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვროს:

- 40 ქულიანი დასკვნითი გამოცდისთვის - არანაკლებ 21 ქულისა;
- 30 ქულიანი დასკვნითი გამოცდისთვის - არანაკლებ 26 ქულისა.

2). ცვლილება ფაკულტეტის კურიკულუმში ამოქმედდეს 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან.

მოისმინეს: 4. „ურბანისტიკის“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ლევან ალფაიძის დაცვის თარიღი დასამტკიცებლად დამსწრეთ წარუდგინა დეკანის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, თ. მატარაძემ

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, გ. გოგსაძემ, ნ. პავლიაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: „ურბანისტიკის“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ლევან ალფაიძის დაცვის თარიღად განისაზღვროს 11 ივნისი, 12.0 სთ.

სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „თბილისის მწვანე ინფრასტრუქტურის ეკოსისტემების სერვისების შეფასება (თბილისის საქალაქო საჯარო პარკების მაგალითზე)“, სამეცნიერო ხელმძღვანელი: იოსებ სალუქვაძე, პროფესორი.

დაცვა შედგება მე-6 კორპუსის # 303 ოთახში.

მოისმინეს: 5. დოქტორანტთა სადოქტორო დისერტაციების სათაურებისა და ხელმძღვანელთა დამტკიცების საკითხი განსახილველად გამოიტანა თ. მატარაძემ

აზრი გამოთქვეს: ი. კაჭკაჭიშვილმა, ზ. დავითაშვილმა, მ. შამილიშვილმა, გ. გოგსაძემ, ა. ბერძენიშვილმა, ნ. ბელქანიამ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ქვემოთჩამოთვლილ დოქტორანტთა სადოქტორო დისერტაციების სათაურები და ხელმძღვანელები:

1) „საზოგადოებრივი გეოგრაფიის“ სადოქტორო პროგრამის მესამე სემესტრის დოქტორანტ ნათია კეკენაძის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „მონაწილეობითი დაგეგმარებისა და სივრცის ფორმირების გამოწვევები საქართველოს ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი)“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი იოსებ სალუქვაძე.
2) „ორგანიზაციული და პერსონალური განვითარების“ სადოქტორო პროგრამის მესამე სემესტრის დოქტორანტ ვაჟა შატბერაშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „თანამედროვე საქართველოს კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის მოდელი და მისი ინსტიტუციური მართვის სისტემა,“ სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ბელქანია.
3) „კულტურის და მედიის სოციოლოგიის” სადოქტორო პროგრამის მეოთხე სემესტრის დოქტორანტ მახარე აჭაიძის სადისერტაციო ნაშრომის სათაური: „იმიგრანტების შესახებ დისკურსი ქართული ულტრანაციონალისტური ჯგუფების ფეისბუქ გვერდებზე“ ; სამეცნიეროხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე.

მოისმინეს: 6. დოქტორანტთა სადოქტორო დისერტაციების სათაურების დაზუსტების შესახებ ისაუბრა თ. მატარაძემ

აზრი გამოთქვეს: ა. ბერძენიშვილმა, ი.კაჭკაჭიშვილმა, ზ. აბაშიძემ და სხვ.

დაადგინეს: დაზუსტდეს ქვემოთჩამოთვლილ დოქტორანტთა სადოქტორო დისერტაციების სათაურები:

1) „ პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო პროგრამის მეშვიდე სემესტრის დოქტორანტ გიორგი გოგსაძის (ხელმძღვანელი: პროფესორი გია ჟორჟოლიანი) ნაშრომის სათაური: „პოპულიზმი საქართველოში პოლიტიკურ პარტიათა წინასაარჩევნო გზავნილების დისკურსის ანალიზი“, დაზუსტდეს შემდეგი ფორმულირებით: „პოპულიზმი საქართველოში: პოლიტიკური პარტიების 2016 და 2020 წლების წინასაარჩევნო გზავნილების დისკურსის ანალიზი“
2) „პოლიტიკის მეცნიერების“ სადოქტორო პროგრამის მეექვსე სემესტრის დოქტორანტ თორნიკე ზურაბაშვილის (ხელმძღვანელი: პროფესორი კორნელი კაკაჩია) სადოქტორო ნაშრომის სათაური“ „საქართველოს საგარეო პოლიტიკური იდენტობა: პოლიტიკური დისკურსის ანალიზი 1991-2020 წლებში“ დაზუსტეს შემდეგი ფორმულირებით: „იდენტობის საკითხი ქართულ საგარეო პოლიტიკურ დისკურსში (1990-2021 წწ.)“

მოისმინეს: 7. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სახელფასო - სამეცნიერო კომპონენტისთვის, თსუ-ის აკადემიური საბჭოს #112/2013 და #122/2014 დადგენილებებით განსაზღვრული სამეცნიერო - კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის დაზუსტების აუცილებლობის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა, ა. კუხიანიძემ, ა. ბერძენიშვილმა, მ. შამილიშვილმა, მ. წერეთელმა, ი.კაჭკაჭიშვილმა, მ. მაცაბერიძემ და სხვ.

დაადგინეს: დაზუსტდეს სამეცნიერო - “კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის” პუნქტები ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სახელფასო - სამეცნიერო კომპონენტისთვის (აკად. საბჭოს შესაბამისი დადგენილების დანართი #8) შემდეგნაირად:

1) ყველა პროდუქცია უნდა იყოს გამოცემული თსუ-ის სახელით;
2) 1.2. პუნქტიდან ამოღებულ იქნეს SCImago Journal&Country Rank და ResearchGate;
3) 1. პუნქტის 1.1 და 1.2 ქვეპუნქტებით განსაზღვრული პროდუქციის რაოდენობა შესაძლებელია აღემატებოდეს ერთს, ხოლო 1.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული პროდუქციის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: ს. დუნდუა, ასოცირებული პროფესორი

სხდომას ესწრებოდნენ:

1) თამარ დოლბაია
2) თეონა მატარაძე
3) სალომე დუნდუა
4) რევაზ ჯორბენაძე
5) გიორგი გოგსაძე
6) ამირან ბერძენიშვილი
7) იაგო კაჭკაჭშვილი
8) ნინო პავლიაშვილი
9) მარი წერეთელი
10) ნანული ტალახაძე
11) მალხაზ მაცაბერიძე
12) ზურაბ აბაშიძე
13) ზურაბ დავითაშვილი
14) ფიქრია ასანიშვილი
15) ნოდარ ბელქანია
16) ცირა თოფურია
17) ალექსანდრე გაბაშვილი
18) მანანა შამილიშვილი
19) ნინი პაქსაშვილი
20) ალექსანდრე კუხიანიძე
21) ზვიად აბაშიძე

დანართი N8

სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაცია

1. სტატია ჟურნალში

1.1 იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის მიერ; სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ;

1.2 სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ;

1.3 რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში*, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის; სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში ;

1.4 ქართველოლოგიურ დარგებში მოღვაწე აკადემიური პერსონალისთვის რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში*, რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი.

2. წიგნი/მონოგრაფია

2.1 მაღალ-რეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ;

2.2 ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია)*.

3. სტატია საკონფერენციო მასალებში / თავი წიგნში, ან კრებულში

3.1 სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის საკონფერენციო მასალების ციტირების ინდექსით;

3.2 სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში.

4. გამოქვეყნებული სამეცნიერო სემინარების/შეხვედრების თეზისები

4.1 საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ;

4.2 საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული Google Scholar -ის მიერ.

* საქართველოში გამოცემული სამენციერო პუბლიკაციების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს კონკრეტულ პუბლიკაციაზე უნივერსიტეტის მოთხოვნის არსებობისას რეცენზიების წარმოდგენა.